



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამულისრებელი ეროვნული კომისია

გ ა დ ა ო რ ე მ ე ტ ი ლ ე ბ ა №18/28

2018 წლის 9 მარტი

ქ.თბილისი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში განსახილველ ზოგიერთ განცხადებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში - კომისია) საჯარო სხდომაზე განიხილა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე გიორგი გიგაურისა (რეგისტრაციის N2218/01 22.02.2018) და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე ავთანდილ ჯელაძის (რეგისტრაციის N2285/01 23.02.2018), შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე ნინო მაჭურიშვილის (რეგისტრაციის N2587/01 05.03.2018), შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე ჯამბულ კილაძის (რეგისტრაციის N2698/01 07.03.2018), შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე მამუკა გელოვანის (რეგისტრაციის N2728/01 07.03.2018), შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ შპს „გრინ დეველოპმენტის“ (რეგისტრაციის N2729/01 07.03.2018), შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე ლია კვირიკაშვილის (რეგისტრაციის N2481/01 28.02.2018), შპს „რუსთავის წყლის“ მიმართ მოქალაქე მარინე გრძელიშვილისა (რეგისტრაციის N2522/01 01.03.2018) და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე მანანა კოპალეიშვილის (რეგისტრაციის N2519/01 01.03.2018) განცხადებათა თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის საკითხი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებულ განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის საჭიროა განცხადების დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და სხვა მტკიცებულებების შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვა,

გამოკვლევა და შეფასება, რაც დამატებით დროს მოითხოვს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის საფუძველზე, კომისიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე გიორგი გიგაურის (რეგისტრაციის N2218/01 22.02.2018) განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2018 წლის 17 მაისი.

2. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე ავთანდილ ჯელაძის (რეგისტრაციის N2285/01 23.02.2018) განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2018 წლის 18 მაისი.

3. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე ნინო მაჩურიშვილის (რეგისტრაციის N2587/01 05.03.2018) განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2018 წლის 1 ივნისი.

4. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე ჯამბულ კილაძის (რეგისტრაციის N2698/01 07.03.2018) განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2018 წლის 2 ივნისი.

5. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე მამუკა გელოვანის (რეგისტრაციის N2728/01 07.03.2018) განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2018 წლის 2 ივნისი.

6. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ შპს „გრინ დეველოპმენტის“ (რეგისტრაციის N2729/01 07.03.2018) განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2018 წლის 2 ივნისი.

7. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე ლია კვირიკაშვილის (რეგისტრაციის N2481/01 28.02.2018) განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2018 წლის 23 მაისი.

8. შპს „რუსთავის წყლის“ მიმართ მოქალაქე მარინე გრძელიშვილის (რეგისტრაციის N2522/01 01.03.2018) განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2018 წლის 26 მაისი.

9. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე მანანა კოპალეიშვილის (რეგისტრაციის N2519/01 01.03.2018) განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2018 წლის 26 მაისი.

10. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საჩივრის წარმდგენ პირებს;

11. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან;

12. გადაწყვეტილება ცალკე არ გასაჩივრდება.

ირინა მილორავა



კომისიის თავმჯდომარე

გოჩა შონია



კომისიის წევრი

გიორგი ფანგანი



კომისიის წევრი

დავით ნარმანია

კომისიის წევრი

